საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000035703575220

№ 01-265-A

16 / ოქტომბერი / 2020 წ.

ბრძანება

სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პირბადის ტარების წესის და მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს კანონის ”უმაღლესი განათლების შესახებ” 24-ემუხლის „ზ“ და „ი“ პუნქტების, სსიპ-თბილისის ვანოსარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-16 მუხლის პირველი ნაწილის „მ“ და „ო“ პუნქტების, ,,პირბადის ტარების წესის დამტკიცების შესახებ’’საქართველოს მთავრობის დადგენილება N368 და სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის აკადემიური საბჭოს დადგენილება N72/2020 საფუძველზე:

ვბრძანებ:

1.სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის შენობაში არ დაიშვას პირი პირბადის არქონის ან გამოუყენებლობის შემთხვევაში;

2.სსიპ თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:გიორგი ჩეკურაშვილი, მაია შანყულაშვილი(კონსერავტორიის შენობა,გრიბოედოვის N8/10) და ლევან მამინაიშვილი(სამუსიკო სემინარია, ჩუბინიშვილის N42);

3.მონიტორინგის ჯგუფის წევრებს დაევალოთ პირბადის გამოყენების წესის კონტროლი, დარღვევის/ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში წესის დამრღვევს მოსთხოვოს შენობის დატოვება;

4.კონსერვატორიის ყველა ადმინისტრაციული და დამხმარე ,მცირე და დიდი დარბაზების, სამუსიკო სემინარიის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია თავად დაიცვას და ამავე დროს გააკონტროლოს მის დაქვემდებარებაში მყოფი თანამშრომლების მიერ პირბადის გამოყენების წესის დაცვა. დაქვემდებარებული თანამშრომლის მიერ დარღვევის/დაუმორჩილებლობის შემთხვევაში აცნობონ ადმინისტრაციას როგორც წერილობით ასევე სიტყვიერად;

5.სახელმწფო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალი ვალდებულია თავად დაიცვას პირბადის გამოყენების წესი და გააკონტროლოს მეცადინეობის მსვლელობისას სტუდენტების მიერ პირბადის გამოყენების წესის დაცვა(გარდა სოლო აკადემიური სიმღერის მიმართულების და ჩასაბერი საკრავების მიმართულების სტუდენტები მეცადინეობის პროცესში) სტუდენტის მიერ წესის დარღვევის/ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში შეწყვიტონ პირთან სასწავლო პროცესი, აცნობონ ადმინისტრაციას პირბადის ტარების წესის დარღვევის თაობაზე ადმინისტრაციას როგორც წერილობით ასევე სიტყვიერად;

6.პასუხისმგებელ პირებს, კონსერვატორიის პერსონალს, კოვიდ ინფექციასთან ბრძოლის პრევენციული ღონისძიებების დაუცველობის, ასევე, წინამდებარე ბრძანებით დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაეკისრებათ დისციპლინური პასუხისმგებლობა .

7.ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე tsc.edu.ge;

8.ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს კონსერვატორიის კანცელარიას;

9. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

10.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპადასმულია
ელექტრონულად

ნიკოლოზ ხორბალაძე